



ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის  
ივლისის 17

№ 18  
გ ა ნ კ ი დ ი ლ ი ჯ ა პ ი რ ე ლ ი

ა/კსფსრ სახალხო კომისარ-  
თა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

- მუხ. 133. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ვაჭრობის შესახებ.
- 134. ქალაქის მომარაგება-გასაღების სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის განყოფილების მოწყობის შესახებ.
- 135. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სავეტერინარო სამმართველოს მოწყობისა და სრულიად საკავშირო ეპიზოოტიური ტრესტის ამიერკავკასიის კონტორის რეორგანიზაციის შესახებ.
- 136. მინგეჩაურის მშენებლობის სქემატიური პროექტის შედგენისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ.
- 137. 1932 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ.
- 138. რძის პროდუქტების დამზადებათა გეგმისა და კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეობისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების რძის პროდუქტების ვაჭრობის გაშლის შესახებ.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

**133.** საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ვაჭრობის შესახებ.

აღნიშნავს-რა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ვაჭრობის სუსტად გაშლას და აგრეთვე იმას, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები, როგორც ამიერკავკასიისა, ისე რესპუბლიკანური, საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევენ ამ საქმეს,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—საკოლმეურნეო ვაჭრობის მკვეთრი გაშლის მიზნით უზრუნველჰყონ საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო საბჭოების მუშაობის გაძლიერება და დაავალონ მათ:



ა) დაუყოვნებლივ გამოჰყონ ნაკვეთები საკოლმეურნეო ბაზრებისათვის და სადგომები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ვაჭრობისათვის და იხმარონ ღონისძიებანი, რათა პირველ პერიოდში ბაზრები და სადგომები საღად მაინც იქნეს მოწყობილი (ყუთები, მაგიდები, სასწვრები, დანები და სხვ.);

ბ) მოაწყონ ბაზარზე მოსულ კოლექტიური მეურნეობის წარმომადგენლებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისათვის მომსახურების გაწევა (ბაკები, საჩაიები, სავეტერინარო პუნქტები, საპარკიმახეროები, კიოსკები ლიტერატურით და სხვ.);

გ) შემოიღონ სხვადასხვა დიდრონ საწარმოსთან სპეციალური ბაზრებისა, ხოლო ქალაქებსა და რაიონებში იარმუკების მოწყობის სისტემა.

2. წინაღიდება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—დაუყოვნებლივ იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ვაჭრობის გაშლის საქმე უზრუნვეყოფილ იქნეს საშენი მასალისა და გაწყობილობის საგნების მიწოდებით (ხეტყის მასალა, სასწვრები და სხვ.).

3. დაევალოს ა/კსფსრ საშინამრეწველო და სარეწაო კოოპერაციას მიაქციოს ხელთქონებული ნედლეული მასალის ნაწილი ვედროებისა, დანებისა, კალათებისა და საბაზრო ვაჭრობის გაწყობილობის სხვა საგნების დამზადებისათვის. ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა, ა/კ. ვაჭრობამ და ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭომ ეს ხელთქონებული საქონელი და ახლად მიღებული პარტიები, პირველყოვლისა, უნდა წარმართონ შემხვედრი ვაჭრობის წესით საკოლმეურნეო ბაზრებში.

4. წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საკოლმეურნეო შენაერთთა საბაზრო ვაჭრობის განვითარებას და ცალობითი ვაჭრობის ქსელის გახსნას ძირითად სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში და არა მიღმეულ პუნქტებში.

5. საკოლმეურნეო ცენტრმა და მისმა შენაერთებმა, სამომხმარებლო კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ მუშაობა მიღმეულ რაიონებში უნდა აწარმოონ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისათვის კონკრეტული დახმარების გაწევით—საქონლიანობის გადიდებისა, გადამმუშავებელ საწარმოთა შეერთებრლის ძალით მოწყობისა, სასაქონლო პროდუქციის სამრეწველო ცენტრებში შემოზიდვისა და ნებაყოფლობის პრინციპზე პროდუქციის შესყიდვის შესახებ ხანგრძლივი ხელშეკრულებების დადების საქმეში.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მისცენ ადგილებს კატეგორიული დირექტივა, რათა კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ გაიტანონ თავიანთი წარმოების პროდუქცია როგორც რაიონიდან რაიონში, ისე რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში.



7. საკოლმეურნეო ვაჭრობის სტიმულირებისათვის წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს და ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობას:

ა) გაშალონ საკოლმეურნეო ბაზრებში ცალობითი ვაჭრობის ქსელი სამრეწველო საქონლის შემხვედრი ვაჭრობისათვის (ქსელის გაშლის გეგმა ბაზრების გახსნის გეგმის შესაბამისად უნდა დაამტკიცონ სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების რესპუბლიკანურმა კომიტეტებმა);

ბ) მე-III კვარტალის სასაქონლო ფონდების რეალიზაციის დროს სპეციალურად გაითვალისწინონ ფონდების საგლეხო ასსორტიმენტის განსაზღვრული ნაწილის საკოლმეურნეო ბაზრებში წარმართვა;

გ) მოაწყონ დანმარება საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის სადანლე მომუშავეთა კადრების გამოყოფისა, ინვენტარის მიჩენისა და სხვა მისთ. საქმეში.

8. მიენდოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში ჯამი გაუყეთოს, ორი კვირის ვადაზე, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის გაწეულ მუშაობას და დაისახოს შემდგომი ღონისძიებანი ა/კ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს, ა/კ. მომარაგების სახალხო კომისარიატისა და სხვა ორგანიზაციების მიერ დავალებათა რეალური შესრულებისათვის.

9. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობას, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—ფართოდ გაშალონ სამრეწველო რაიონებსა და ცენტრალურ ქალაქებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის ქსელი, სხვათა შორის ქალაქის ბაზრებშიაც.

ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა მე-III კვარტალში უნდა გახსნას 150 ახალი წერტი და ა/კ. მომარაგების სახალხო კომისარიატმა სახელმწიფო ვაჭრობისა და შენაერთების ხაზით—80 წერტი; მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა უნდა წარუდგინონ ერთი დეკადის ვადაზე სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში საბჭოთა მეურნეობების ვაჭრობისა და კოლექტიური მეურნეობებისა და შენაერთების ვაჭრობის გაშლის გეგმა.

10. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის გაფართოების განხორციელების მიზნით წინადადება მიეცეს მოვაჭრე ორგანიზაციებს—ფართოდ გაშალონ დეცენტრალიზებული დამზადებანი და განავითარონ ეს დამზადებანი უპირატესად მიღმეულ პუნქტებში და სოფლის ბაზრებზე.

11. წინადადება მიეცეს დამზადებათა რესპუბლიკანურ კომიტეტებს—ნუ ახმარებინებენ ვისაც ჯერ არს ადმინისტრაციულ მეთოდებს ბაზარში შექმნილი ფასების შემცირებისათვის და აგრეთვე აწარმოონ ბრძოლა არასად კონკურენციასთან ცალკეულ დამზადებელ ორგანიზაციებს შორის.

12. წინადადება მიეცეს მოვაჭრე ორგანიზაციებს—ფართოდ გაშალონ ტარებით ვაჭრობისა და წვრილ-ყუთობით (ბოხჩობით) ვაჭრობის სისტემა მიღმეულ რაიონებში.



ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა ერთი თვის ვადაზე უნდა მოაწყოს ახალი მოძრავი ვაჭრობა მიღმეული ადგილებისათვის არა ნაკლებ 150-სა და მეყუთეთა და (მებოხჩეთა) არა ნაკლებ 400-სა; ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობამ ტარებით—25 და სასტაციონარო—53, მეყუთენი—100; სარეწაო კოოპერაციამ—მეყუთენი 100.

13. საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მუშაობაში შეთავსებულ უნდა იქნეს საკოლმეურნეო ვაჭრობის გაფართოების ამოცანები—ცენტრალიზებულ დამზადებათა გეგმის შესრულებით.

განმარტებულ იქნეს, რომ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების მიერ ზედმეტი პურეულის დაუბრკოლებლად გაყიდვა შეიძლება პურეულის დამზადების გეგმის შესრულების შემდეგ, ხოლო ყველა სხვა პროდუქტის ხაზით—ზედმეტი საქონლის დაუბრკოლებლად გაყიდვის უფლება ეძლევა მათ, ვინც პირნათლად ასრულებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ნაკისრებ ვალდებულებათ.

14. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—ცენტრალიზებულ დამზადებათა გეგმები შეადგინოს კვარტალური მასშტაბით, ხოლო რესპუბლიკანურმა კომიტეტებმა—თვიური მასშტაბით.

15. წინადადება მიეცეს საკოლმეურნეო ცენტრს—დაუყოვნებლივ შეუდგეს საკოლმეურნეო ვაჭრობის თაობაზე არსებული დირექტივებისა, დადგენილებებისა და პოპულარული ლიტერატურის გამოცემას ადგილობრივ ენებზე.

ა/კსფსრ სსხალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის უახლოეს სხდომაზე მოსმენილ იქნეს ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ვაჭრობის გაშლის შესახებ, კერძოდ—ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. მაისის 20-ის დადგენილების შესრულების თაობაზე, რომელი დადგენილებაც ენება კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ვაჭრობის წარმოების წესს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის გადასახადის შემცირებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე ა. სალარიძე.

1932 წ. ივლისის 2.

№ 487.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 164 №-ში 1932 წ. ივლისის 16-ს.





## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**134.** ქალაქის მომარაგება-გასაღების სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის განყოფილების მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა ქ. ტფილისში მოეწყოს ქალაქის მომარაგება-გასაღების სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის განყოფილება და გამოყოფილ იქნეს ა/კ. მარაგ-გასაღების ორგანოდან, აზერბაიჯანის მარაგ-გასაღების ორგანოდან, საქართველოს მარაგ-გასაღების ორგანოდან და სომხეთის მარაგ-გასაღების ორგანოდან საქალაქო ჯგუფები. აზერბაიჯანის სსრ-ში, საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში მოეწყოს აღნიშნული განყოფილების ფილიალები (კონტორები) და სათანადო მომარაგების ორგანოების სისტემაში დატოვებულ იქნეს არსებული საშუალო ერთეულები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსფსრ სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხალარძე.

1932 წ. ივლისის 2.

ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**135.** ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სავეტერინარო სამმართველო მოწყობისა და სრულიად საკავშირო ეპიზოოტიური ტრესტის ამიერკავკასიის კონტორის რეორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სავეტერინარო სამმართველო და გადაეცეს მას ყველა საქმე მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სექტორიდან.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან მოწყობილ იქნეს ანალოგიური სავეტერინარო სამმართველოები.

2. სრულიად საკავშირო ეპიზოოტიური ტრესტის ამიერკავკასიის კონტორის მიერ გასაწევი ხელმძღვანელობა და მისი ოპერატიული ფუნქციები უაღრესი მნიშვნელობის ეპიზოოტიებთან ბრძოლის საქმეში (პერეპნევმონია, ქოთაო, ღორის ჭირი და სხვ.) დაეკისროს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა



და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სავეტერინარო სამმართველოებს.

3. სრულიად საკავშირო ეპიზოოტიური ტრესტის ა/კ. კონტორა რეორგანიზებულ იქნეს ამიერკავკასიის სავეტერინარო მომარაგებისა და ბიოპრეპარატების წარმოების სახელმწიფო ტრესტად, რომელიც შედის სრულიად საკავშირო სავეტერინარო მომარაგებისა და ბიოპრეპარატების წარმოების სახელმწიფო ტრესტში და რეგულირების მხრით ექვემდებარება უშუალოდ ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს; ამასთანავე, მას შეენარჩუნოს ბიოპრეპარატებისა და სავეტერინარო მომარაგების საგნების წარმოების ფუნქციები (სალაბორატორიო გაწყობილობა, ინსტრუმენტარია, ქიმიკური პრეპარატები) და ამ პრეპარატებისა და საგნების მეცხოველეობის ორგანიზაციებისათვის და საადგილმამულო და საკოლმეურნეო ორგანოებისათვის მიწოდების ფუნქციები.

4. დაეკისროს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს სავეტერინარო საქმის უშუალო და ოპერატიული გამგებლობა—ეპიზოოტიებთან ბრძოლა, სავეტერინარო სასანიტარო ღონისძიებანი, სავეტერინარო კადრების მომზადება, სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა, ბიოპრეპარატებისა, სამკურნალო-სასანიტარო საშუალებების და ინსტრუმენტების წარმოება და მომარაგება, კონტროლისა და ინსპექტირების გაწევა რესპუბლიკანური მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სავეტერინარო ორგანოების და იმავე სახალხო კომისარიატის და სხვა უწყებების სამეურნეო ორგანოების მუშაობისათვის.

5. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს აპარატი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სავეტერინარო სამმართველოების ეპიზოოტიური განყოფილებანი უნდა იყვნენ სამეურნეო ანგარიშზე და ინახებოდნენ ეპიზოოტიებთან ბრძოლის ოპერატიული სახსარით სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1932 წ. აპრილის 29-ის დადგენილების შესაბამისად.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატის საბჭოებს—განახორციელონ სავეტერინარო საქმის რეორგანიზაცია ამა დადგენილების შესაბამისად.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის

საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხალარაძე.

1932 წ. ივლისის 2.  
ტფილისი.



## დადგენილება ა/კსსსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**136.** მინგეჩაურის მშენებლობის სქემატიური პროექტის შედგენისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ.

მინგეჩაურის პრობლემას, რომელიც უდიდესი სახალხო-სამეურნეო ფაქტორია, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა; იგი საბოლოოდ სწვევტს კასპიის ზღვის აქეთ მდებარე დაბლობის (ყარაბაღ-მილის, შირვანის და მულანის ველებს) მორწყვის პრობლემას და მოწოდებულია არეგულიროს მდინარე მტკვრის ქვემო ადგილები წყლით წალეკისაგან, რაც ყოველ წელს სახალხო მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს და რაც ძირითადი მიზეზია ამ რაიონებში მალარიის გაჩენისა. ამასთან ერთად, მინგეჩაურის პრობლემის გადაწყვეტა ჰქმნის ძალგან ენერგეტიულ კვანძს ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის საწარმოო ძალების განვითარების უზრუნველსაყოფად (დაშქესანი, ალუნიტები, საფეიქრო მრეწველობა).

მინგეჩაურის მშენებლობა დამთავრებულ უნდა იქნეს ძირითად მეორე ხუთწლედში—ისე, რომ უკვე 1937 წელს გამოყენებულ იქნეს 150—200 ათასი ჰექტარი საერთო ნაპროექტევი ერთი მილიონი ჰექტარიდან; ამასთანავე, მინგეჩაურის პილროსადგურების (1-ლი რივის) ექსპლოატაცია დაწყებულ უნდა იქნეს 1936 წლის ბოლოს.

ეს ამოცანა გვაუბლებს—მშენებლობას შევუდგეთ 1933 წელს და უკვე 1932 წ. დავამთავროთ მინგეჩაურის ნაგებობათა სქემატიური პროექტის შედგენის სამუშაოები—მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებით.

აღნიშნავს-რა, რომ მინგეჩაურის საპროექტო-საძიებლო სამუშაოები მიმდინარეობს სრულიად არადაამაკაყოფილებლად, რის გამოც ამ სამუშაოთა დამთავრება 1932 წელს და, მაშასადამე, მშენებლობის დაწყება 1933 წელს უზრუნველყოფილი არ არის, ა/კსსსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მინგეჩაურის კომიტეტს დი ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს—განსაზღვრონ საძიებლო და საცდელ-საკვლევო სამუშაოთა ცალკეული დარგების დამთავრების ვადები და დაამყარონ პერსონალური პასუხისმგებლობა თვითიული ამ სამუშაოს ისეთ ვადაზე დამთავრებისათვის, რაც უზრუნველყოფს საესკიზო პროექტის შედგენის დამთავრებას 1932 წ. დეკემბრის 15-თვის და 1933 წელს მშენებლობის მომზადების დაწყებას.

2. თვენახევრის ვადაზე შედგენილ იქნეს დაწვრილებითი მოხსენება, რაც გააშუქებს მინგეჩაურის მშენებლობის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას.

3. მოეწყოს მინგეჩაურის კომიტეტთან მომუშავე ჯგუფი სპეციალისტებისაგან, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მინგეჩაურის პრობლემის საკომპლექსო გადაწყვეტისათვის საჭირო მუშაობას. ამავე დროს წინადადება მიეცეს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს—გამოჰყოს დამოუკიდებელი საპროექტო-საძიებლო ბიურო მინგეჩაურის მშენებლობისათვის.



4. წინადადება მიეცეს მინგეჩაურის კომიტეტს, მინგეჩაურის კვანძისათვის საესკიზო პროექტის შედგენასთან ერთად, გაშალოს მუშაობა მინგეჩაურის პრობლემის ეკონომიურად დასაბუთებისათვის მთლიანად; აგრეთვე გაშალოს საძიებლო სამუშაოები ქვემო-შირვანის არხის ფართობების საირრიგაციოდ გამოყენებისათვის და ერთი დეკადის ვადაზე განიხილოს ამ სამუშაოების პროგრამა და გამოსძებნოს საჭირო სახსარი ამ სამუშაოების განსახორციელებლად.

5. დავალოს ამიერკავკასიის ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტს და აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ინსტიტუტს შეიტანონ 1932 წლის გეგმაში სპეციალური ეკონომიური სამუშაოები მინგეჩაურის ხაზით, როგორც ამ ინსტიტუტების მუშაობის ძირითადი ობიექტისა.

მინგეჩაურის კომიტეტმა ორი კვირის ვადაზე უნდა განსაზღვროს ამ ინსტიტუტების მიერ შესასრულებელ დავალებათა მოცულობა და სამუშაოების შესრულების ვადები.

6. წინადადება მიეცეს პერიოდული პრესის რედაქციებს—სისტემატიურად აშუქონ მუშაობის მსვლელობა მინგეჩაურის ხაზით, ხოლო მინგეჩაურის კომიტეტმა უნდა მოაწყოს სათანადო, როგორც ტექნიკური, ისე პოპულარული ლიტერატურის გამოშვება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხალარიძე.

1932 წ. ივლისის 2.

ტფილისი.

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსნი.

#### 137. 1932 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ.

„1932 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ“ გამოქვეყნებული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 23-ის დადგენილების თანახმად („იზვესტია“-ს 173 №-ი 1932 წ. ივნისის 24-ისა)—აქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. წყლის გამოსაღები ა/კსფსრ-ში გადაიხდებიან სოფლად, ქალაქად და აგრეთვე ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, სადაც სახელმწიფო ორგანოები, კოოპერატიული და კერძო ორგანიზაციები და პირები იყენებენ წყალსამეურნეო სისტემებს სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების მორწყვისათვის თუ მელიორაციისათვის ან იყენებენ წყლის ენერჯიას სამრეწველო და სატექნიკო მიზნებისათვის.



ამ გამოსაღების განაკვეთებს და გამოანგარიშებისა და გადახდევინების წესს განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

2. ყველა საბჭოთა მეურნეობა წყლის სარგებლობისათვის იმ სარწყავი ქსელიდან, რომლის აღმინისტრირებას წყალთა მეურნეობის ორგანოები ეწევიან, უნდა დაიბეგროს წყლის გამოსაღებით. ამ გამოსაღების განაკვეთებს და გამოანგარიშებისა და გადახდევინების წესს განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები აინსტრუქტირებენ საბჭოთა მეურნეობებს და ამოწმებენ მათ მიერ გამოანგარიშებულ შემოსავლიანობას და გამოსაღების განაკვეთებს.

3. კოლექტიური მეურნეობისათვის წყლის გამოსაღების განაკვეთების რაოდენობას აწესებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს წყლის გამოსაღების დებულების (სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული) მე-10 მუხლში აღნიშნული წესები.

4. წყლის გამოსაღებს კოლექტიური მეურნეობანი იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის დაწესებულ ვადაზე.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ, საჭირო შემთხვევაში, შესცვალონ ეს ვადები ცალკეული რაიონებისათვის. კოლექტიური მეურნეობის მიერ ზედმეტად თუ ნაკლები რაოდენობით გადახდილი წყლის გამოსაღები დაბრუნებულ ან გადახდევინებულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაზე წყლის გამოსაღების საბოლოო რაოდენობის გამოცხადების დღიდან.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ დაბეგრონ წყლის გამოსაღებით წყალმოსარგებლეთა კოლექტიური შენაერთები (კოლექტიური მეურნეობანი და სამელიორაციო ამხანაგობანი), რომელთაც იკისრეს ამა თუ იმ წყლის სისტემის შენახვა მთლიანად თუ ნაწილობრივ და ეწევიან ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წყლის გამოსაღებით დაბეგვრის წესს და გამოსაღების რაოდენობას განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები აწესებენ წყლის გამოსაღების განაკვეთებს სოფლად ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების სარწყავი მიწების შემოსავლისა და წყლის ძალის გამოყენებულ საწარმოთა შემოსავლის დაბეგვრისათვის. განაკვეთები შეიძლება იყოს სხვადასხვა ცალკეული ადგილების ან ცალკეული წყლის სისტემებისათვის და აგრეთვე ცალკეული სახის საწარმოთათვის. წყლის გამოსაღების განაკვეთები განისაზღვრება ამ გამოსაღებით დასაბეგრავე შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

7. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობისათვის წყლის გამოსაღების გადახდის ვადები შემდეგია: ოქტომბრის 1-თვის—გამოსაღების განაკვეთის 25%-ი, ნოემბრის 15-თვის—50%-ი და დეკემბრის 15-თვის—25%-ი.



ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, საჭირო შემთხვევაში, შესცვალონ ეს ვადები ცალკეული რაიონებისათვის—ისე-კი, რომ წყლის გამოსაღების ის თანხები, რაც უნდა შემოვიდეს რესპუბლიკისათვის (მთლიანად) დადგენილ ვადაზე, შემცირებულ არ იქნეს.

**შენიშვნა.** ინდივიდუალური წესით დაბეგრილი მეურნეობანი წყლის გამოსაღებს იხდიან მთლად სექტემბრის 1-თვის.

8. წყლის გამოსაღები ამიერკავკასიის რკინის გზებისათვის გამოიანგარიშება იმ რაოდენობით და იმ წესით, რასაც დაადგენენ ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

9. აკსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ გაანთავისუფლონ წყლის გამოსაღებისაგან მთლად ან ნაწილობრივ ცალკეული კატეგორიის მეურნეობანი და საწარმონი და აგრეთვე ცალკეული ადგილების მოსახლეობა.

10. წყლის გამოსაღების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში შეტანის წესს განსაზღვრავენ ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხალარიძე.

1932 წ. ივლისის 3.

№ 486.

ტფილისი.

## დადგენილება ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**138.** რძის პროდუქტების დამზადებათა გეგმისა და კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების რძის პროდუქტების ვაჭრობის გაშლის შესახებ.

საბჭოთა ვაჭრობის მაქსიმალურად გაშლისა და კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეების და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისათვის ბაზრებზე და საკოლმეურნეო დუქნებში ვაჭრობის გაშლის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნეს ა/კსტსრ-ში 1932 წელს რძის პროდუქტების ცენტრალიზებულ დამზადებათა დადგენილი გეგმები კოლექტიური მეურნეობებისა, კოლ-



მეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისათვის 90.000 ტონნადან 30.493 ტონნამდე რძის ერთეულების მიხედვით; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	— 27.320	ტონნადან	6.970	ტონნამდე
სომხეთის სსრ-ში	. . . 27.440	„	12.502	„
საქართველოს სსრ-ში	. 35.240	„	11.021	„

აღნიშნული რაოდენობის რძე მიღებულ უნდა იქნეს ცენტრალიზებულ დამზადებათა გეგმის წესით—რესპუბლიკებზე, დამზადებლებზე და პროდუქტების სახეებზე დაყოფით და შემდეგი რაოდენობით:

ა/კსფსრ-ში:	კარაქი	დიდრონ- დიდრონი ყველი	ადგილ. ყველი
საბჭოთა მეურნეობები . . . . .	140,0	185,0	463,0
„სოიუზმასლოპრომ“-ი . . . . .	215,0	150,0	1.427,0
სამომხმარებლო კოოპერაცია . . . . .	85,0	—	175,0
<b>სულ ა/კსფსრ-ში . . . . .</b>	<b>440,0</b>	<b>335,0</b>	<b>2.065,0</b>

**აზერბაიჯანის სსრ-ში:**

საბჭოთა მეურნეობები . . . . .	32,9	—	125,0
„სოიუზმასლოპრომ“-ი . . . . .	46,2	—	180,0
სამომხმარებლო კოოპერაცია . . . . .	60,0	—	175,0
<b>სულ აზერბაიჯანის სსრ-ში . . . . .</b>	<b>139,1</b>	<b>—</b>	<b>480,0</b>

**სომხეთის სსრ-ში:**

საბჭოთა მეურნეობები . . . . .	59,5	108,0	166,0
„სოიუზმასლოპრომ“-ი . . . . .	92,4	75,0	667,0
სამომხმარებლო კოოპერაცია . . . . .	10,0	—	—
<b>სულ სომხეთის სსრ-ში . . . . .</b>	<b>161,9</b>	<b>183,0</b>	<b>833,0</b>

**საქართველოს სსრ-ში:**

საბჭოთა მეურნეობები . . . . .	47,6	77,0	172,0
„სოიუზმასლოპრომ“-ი . . . . .	76,4	75,0	580,0
სამომხმარებლო კოოპერაცია . . . . .	15,0	—	—
<b>სულ საქართველოს სსრ-ში . . . . .</b>	<b>139,0</b>	<b>152,0</b>	<b>752,0</b>

2. მოიხსნას ნაღებმოუხდელი რძის ცენტრალიზებული დამზადება, რაც რძედ უნდა იყოს გასაღებელი, ქ. ბაქოს და მისი საგარეთუბნო რაიონების გამოკლებით, და აგრეთვე რძის მკვებ პროდუქტებისა ა/კსფსრ-ში.

3. ცენტრალიზებულ დამზადებათა გეგმის აღსრულება თავმოყრილ იქნეს მეცხოველეობის ძირითად რაიონებში, სადაც განვითარებულია რძის მრეწველობა.

ცენტრალიზებულ დამზადებათა რაიონების ნუსხა, როგორც „სოიუზმასლოპრომ“-ის სისტემისა, ისე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით, დად-



გენილ იქნეს ხუთი დღის ვადაზე დამზადებათა კომიტეტების მიერ რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებისათვის წარდგენისამებრ.

4. ცენტრალიზებულ დამზადებათა რაიონებში დაველოს რძის პროდუქტების დამზადებელთ—გადასინჯონ, არა უგვიანეს ივლისის 20-სა, დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი და შეამცირონ კონტრაქტანტების ვალდებულებანი რძის ჩაბარების ხაზით დადგენილი გეგმების შესაბამისად და ამასთანავე გაითვალისწინონ 10%-იანი დაზღვევა.

დანარჩენ რაიონებში საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი მოიხსნას; დაველოს სამომხმარებლო კოოპერაციას და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებს—მაქსიმალურად გააფართოონ ამ რაიონებში რძის პროდუქტების დამზადება საბჭოთა ვაჭრობის წესით, რათა ეს პროდუქტები მიეყიდოს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელ მოსახლეობას.

5. რძის ცენტრალიზებულ დამზადებათა გეგმის შესრულების მიზნით წინადადება მიეცეს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—გამოპყოს დამზადებელთა განკარგულებაში 3.200 ტონნა პურეული პროდუქტი.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ცენტრალიზებულ დამზადებათა რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ხელი შეუწყონ იმ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეობებს, რომელნიც პირნათლად ასრულებენ დამზადებათა სახელმწიფო გეგმას, რათა მათ დაუბრკოლებლად აწარმოონ რძის ყოველგვარი პროდუქტის გაყიდვა ბაზრებზე და საკოლმეურნეო დუქანებში; თანაც ბრძოლა გაუწიონ ჩარჩ-სპეკულიანტებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. სვანიძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხალარაძე.

1932 წ. ივლისის 11.

№ 488.

ქ. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 161 №-ში 1932 წ. ივლისის 12-ს.